LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2019.09.30 15:08:53 +04'00'

ხელშეკრულება N 881 /06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს ქიმიური კომპანია „გეოჯემი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ წულაიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის #217138 (ეპრიკაშვილი) დაფინანსების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მესამე პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატების (CPV24300000) სახელმწიფო შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა და ღირებულება:

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა	CPV კოდი
1	აცეტონიტრილი 2,50 ლიტ. ქრომოტოგრაფიული	ლ	5.00	130.00	650.00	24324000
					650,00	

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 650.00 ლარს. (ექვსასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)
2.3 ხელშკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს თსუ საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი.
3.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, დეფექტის ან ნაკლის არ აღმოფხვრის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მინდელის ქ.11.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის წაყენებულ მოთხოვნებს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეebს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.3 ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.4 წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, დამოწმებულია ელექტრონული ხელმოწერით /კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და მასთან დაკავშირებული მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ელექტრონული ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს ქიმიური კომპანია „გეოჯემი"**
საიდენტიფიკაციო კოდი : **204864548**	საიდენტიფიკაციო კოდი : 205050406
მისამართი:	**მისამართი** : ქ.თბილისი, ჭირნახულის ჩ.
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ # 1	ვაჟა-ფშაველას # 20
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
სახელმწიფო ხაზინა	სს „პროკრედიტ ბანკი"
საგრანტო პროექტი 217138	ბანკის კოდი: MIBGGE22
3204050102	ანგ. ნომერი #:GE27PC0183600100016449
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	**შპს ქიმიური კომპანია „გეოჯემი"**
	დირექტორი
_____	---
/ნ.ოვსიანიკოვა/	/ჯ.წულაია/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ხელშეკრულება № 881/06

30 სექტემბერი 2019 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს „გეოჯემი"-სთან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ნ. ოვსიანიკოვა
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	ლ. საღინაძე
თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი	ი. საღარეიშვილი
თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	ბ. კუკულავა
თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსის მ.შ.	ა. მერკვილიშვილი
თსუ შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი	ლ. ბაყაშვილი